

საიდ. N86217/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №45-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი, თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, თ. კველიშვილის მდივნობით, განიხილა შპს „მოგო“-ს N45-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 2 მარტის N426/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანი „Mozo.ge“ (საიდ. N86217/03) დარეგისტრირდა შპს „მოზო“-ს სახელზე 35-ე და 36-ე კლასების მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი შპს „მოგო“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, შპს „მოზო“ და შპს „მოგო“ ეწევიან მსგავს კომერციულ საქმიანობას. სააპელაციო საჩივარს თან ერთვის ორივე კომპანიის ვებ-გვერდებიდან ამოღებული ამონარიდი, საიდანაც დგინდება, რომ შპს „მოზო“-ს და შპს „მოგო“-ს მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული მომსახურება იდენტურია.

აპელანტის პოზიციით, საქპატენტის მონაცემთა ბაზაში სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღად მითითებულია 2016 წლის 2 მარტი, ხოლო რეგისტრაციისთვის განაცხადის შეტანის თარიღად მითითებულია 2016 წლის 18 თებერვალი. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „mogo“, მისი რეგისტრაციის თარიღია 2015 წლის 20 ოქტომბერი, ხოლო განაცხადის შეტანის თარიღია 2014 წლის 4 ივნისი. შესაბამისად, სასაქონლო ნიშანი „mogo“ სარგებლობს უფრო ადრინდელი პრიორიტეტით.

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებით საფუძვლებს, ხოლო ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას ნიშნის რეგისტრაციაზე თუ: „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“. ვინაიდან, სასაქონლო ნიშნის ერთადერთი დანიშნულებაა შესაძლებლობა მისცეს მომხმარებელს განასხვავოს ერთი მწარმოებლის პროდუქცია მეორე მწარმოებლის პროდუქციისაგან, მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მთავარი არსია, რომ სასაქონლო ნიშანმა არ გამოიწვიოს აღრევა. აპელანტის მითითებით, საქპატენტი ვალდებული იყო უარი ეთქვა სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, ვინაიდან,

შპს „მოზო“ ცდილობს მოახდინოს მისი საქმიანობის აპელანტის საქმიანობასთან ასოცირება.

„სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის შესაბამისად, „... შედარების დროს სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“. რეგისტრირებული და სადავო სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალური და ფონეტიკური თვალსაზრისით, ამავდროულად, არცერთ მათგანს არ გააჩნია რაიმე სემანტიკური მნიშვნელობა. ნიშნები ჟღერადობით იმდენად მსგავსია, რომ აშკარაა, შპს „მოზო“-ს განზრახვა მიამსგავსოს სადავო სასაქონლო ნიშანი დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს.

აპელანტმა სააპელაციო პალატის საქმის ზეპირი მოსმენით სხდომაზე დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა სადავო ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სადავო სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდა 36-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 2 მარტის N426/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანი „Mozo.ge“ (საიდ. N86217/03) დარეგისტრირდა შპს „მოზოს“ სახელზე 36-ე კლასის მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

დაინტერესებული მხარე, შპს „მოზო“ არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაინტერესებული მხარის განმარტებით, სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკით დადგენილია, რომ „აღრევის შესაძლებლობის“ და „ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობის“ ცნებები უკავშირდება ისეთ გარემოებებს, როდესაც: 1. მომხმარებელი ვერ განასხვავებს ერთ სასაქონლო ნიშანს მეორისაგან; 2. მომხმარებელი აკავშირებს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს ერთმანეთთან და თვლის, რომ საქონელი ან/და მომსახურება წარმოებულია/შეთავაზებულია ერთი და იმავე ან ეკონომიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული პირების მიერ (ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა). დაპირისპირებული ნიშნები - „Mozo.ge“ და „mogi“ განსხვავდება, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად (სემანტიკური მნიშვნელობა ნიშნებს არ გააჩნიათ). ამასთან, განსხვავებულია ის საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ახდენენ მომხმარებელზე.

დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს მკვეთრი ფონეტიკური განსხვავება. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს წარმოადგენს ლათინური ასოებით შესრულებული აღნიშვნა „mogi“, ხოლო სადავო სასაქონლო ნიშანი არის ლათინური ასოებით შესრულებული აღნიშვნა „Mozo.ge“. სადავო სასაქონლო ნიშანი მოიცავს დამატებით სიტყვიერ და სიმბოლურ ელემენტს „ge“. შესაბამისად, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „მ-ო-გ-ო“, ხოლო სადავო სასაქონლო ნიშანი, როგორც „მ-ო-ზ-ო-ჯ-ი“, რაც მომხმარებლის მიერ აღიქმება სრულიად განსხვავებულად. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ბოლო თანხმოვანია ასო „g“, ხოლო სადავო ნიშნის საწყისი ნაწილის ბოლო თანხმოვანია ასო „z“, რომლის მოხაზულობაც მკვეთრად განსხვავდება ასო „g“-ს მოხაზულობისგან. რეგისტრირებული ნიშნის ბოლო თანხმოვანი „g“ ჟღერს ბევრად უფრო ყრუდ, ვიდრე სადავო სასაქონლო ნიშანში არსებული თანხმოვანი „z“, რაც ზრდის ნიშნებს შორის არსებულ ფონეტიკურ განსხვავებას.

დაინტერესებული მხარის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მომხმარებელზე ახდენენ სრულიად განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. ნიშნების გამოსახულებითი ნაწილი სრულიად განსხვავებულია. ვიზუალური მსგავსების დადგენისას, მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორცაა, ფონტის სახეობა, ასოების გრაფიკული გამოსახულება, ასოების მიმდევრობა და ოდენობა, ანბანი, რომლითაც შესრულებულია ნიშანი, ფერები, და ა.შ. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, მწვანე ფერში. სიტყვიერი ნაწილის ზემოთ გამოსახულია მანქანის სილუეტის მოხაზულობა, რომელიც შესრულებულია მუქ ლურჯ ფერში. სიტყვიერი ნაწილის ყველა ასო ერთი ზომისაა. სადავო სასაქონლო ნიშანი არის ღია ცისფერ და ნარინჯისფერ ფერებში ლათინური ანბანით სტილიზებული ფონტით (ფონტი „Moderna by Fontalicious“) შესრულებული წარწერა. ნიშნის პირველი ასო „M“ შესრულებულია ასომთავრულით, ხოლო სასაქონლო ნიშნის შუა ნაწილში არსებული ასო „z“-ს მოხაზულობა წყვეტილია. დაპირისპირებული ნიშნების არც ერთი ფერი არ ემთხვევა ერთმანეთს, მათი ფონტები სრულიად განსხვავებული და სტილიზებულია, რაც მომხმარებლის მიერ ვიზუალურად აღიქმება სხვადასხვანაირად და გამორიცხავს ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობას.

დაინტერესებული მხარის განმარტებით, აპელანტის საჩივრის დაუსაბუთებულობასა და ზედპირულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აპელანტი ყურადღებას არ ამახვილებს სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზიდან საჩივარზე თანდართულ (აპელანტის საჩივრის დანართი N3) ამონაწერში დაშვებულ ტექნიკურ შეცდომაზე და შემოიფარგლება ზოგადი შენიშვნით, რომ ნიშნები ვიზუალურად მსგავსია. შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის გამოსახულების მაგივრად ამონაწერში მოცემულია კომპანიის „ჯიპისი“ დაგროვებითი ბარათის გამოსახულება.

დაინტერესებული მხარის მითითებით, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს არ აქვთ სემანტიკური მნიშვნელობა. თუმცა, სადავო სასაქონლო ნიშნის საწყისი

ნაწილი წარმოადგენს კომპანიის ლოზუნგის აბრევიატურას - „Your MOney Zone“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ლოზუნგი არ შედის სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრირებულ გამოსახულებაში, ის თითქმის ყოველთვის გამოიყენება მარკეტინგული მიზნებისთვის, მათ შორის, ვებსაიტზე, ფლაერებზე, ბუკლეტებზე და ა.შ. აღნიშნული მომხმარებელს აძლევს დამატებით ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით და გამორიცხავს მათი შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

დაინტერესებული მხარის პოზიციით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საწყისი ნაწილები შედგება ოთხი ასოსაგან. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის (EUIPO) სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „ნიშნების სიგრძემ შეიძლება გავლენა იქონიოს ნიშნებს შორის განსხვავებაზე. რაც უფრო მოკლეა ნიშანი, მით უფრო კარგად აღიქვამს მომხმარებელი მის ყოველ ელემენტს. ამის საპირისპიროდ, საზოგადოება ნაკლებად აღიქვამს განსხვავებას გრძელ ნიშნებს შორის“. (European Union Intellectual Property Office, ‘Guidelines for Examination of European Trade Marks’, Part C, Section 2, Chapter 4, Paragraph 3.4.6.3.). ცხრილში მოყვანილია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის (EUIPO) პრაქტიკა მოკლე ნიშნებთან დაკავშირებით:

გადაწყვეტილების ნომერი	გადაწყვეტილების მიმღები ქვეყანა	განცხადებული ნიშანი	დაპირისპირებული ნიშანი
1316/1999	EN	ODOL	IDOLE
651/2001	EN	YSL	SL
1038/2001 (დადასტურებულია სააპელაციო პალატის მიერ R0611/2001-1)	EN	TOM	DOM

დაინტერესებული მხარის განმარტებით, აღნიშნულ პოზიციას იზიარებს საქპატენტის სააპელაციო პალატაც. სასაქონლო ნიშნების „TNK“ და „TMK“

შედარებისას პალატამ მხედველობაში მიიღო ნიშნებში გამოყენებული ფერები, სტილიზებული აღნიშვნები და დაადგინა, რომ ნიშნები საკმარისად განსხვავებულია: „განსხვავებულია ნიშნების ის საერთო ვიზუალური შთაბეჭდილება, რომელსაც ისინი ახდენენ მომხმარებელზე. შესაბამისად, აღნიშნული სიტყვიერი ელემენტების მცირედი განსხვავება უკეთესად აღიქმება მომხმარებლის მიერ.“ სააპელაციო პალატის პრაქტიკიდან შეიძლება დასახელდეს კიდევ ერთი რელევანტური მაგალითი - „SCOR“ და „SCORT“ (საიდ. N70541/03).

დაინტერესებული მხარის განმარტებით, აპელანტი სააპელაციო საჩივარში უთითებს, რომ „აშკარაა, რომ შპს „მოზო“ ცდილობს მისი ბიზნეს საქმიანობის აპელანტის საქმიანობასთან ასოცირებას“. აღნიშნული გამონათქვამი დაუსაბუთებელია და არ შეესაბამება რეალობას შემდეგი გარემოებათა გამო:

აპელანტის სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მხოლოდ 36-ე კლასის მიმართ და მოიცავს შემდეგ მომსახურებას: „დაზღვევა; ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა; ფულად-საკრედიტო ოპერაციები; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები.“ რაც შეეხება სასაქონლო ნიშანს „Mozo.ge“ (საიდ. N86217/03), ის რეგისტრირებულია დამატებით 35-ე კლასისთვის: „რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური“ და 36-ე კლასის მომსახურების უფრო ფართო სპექტრისთვის - „დაზღვევა; ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა; ფულად-საკრედიტო ოპერაციები; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები; საბანკო და არასაბანკო სესხები, მათ შორის ონლაინ სესხები.“

დაინტერესებული მხარის პოზიციით, აპელანტის და მოწინააღმდეგე მხარის ბიზნეს საქმიანობა მიმართულია სხვადასხვა სექტორის მომხმარებლებისაკენ. კერძოდ, შპს „მოგო“ მომხმარებლებს სთავაზობს სესხებს მანქანის უზრუნველყოფით და ავტო ლიზინგით. რაც შეეხება შპს „მოზო“-ს, მის მომსახურებას შეადგენს სწრაფი ონლაინ სესხების გაცემა 50-1000 ლარის ფარგლებში 5-30 დღის ვადით. შესაბამისად, შპს „მოგო“-ს მომსახურებით ისარგებლებს ის ადამიანი, ვისაც სურს შედარებით

დიდი ოდენობის სესხის აღება საკუთარი მანქანის უზრუნველყოფით, ხოლო შპს „მოზო“-ს მომსახურებით ისარგებლებს ის, ვისაც სურს სწრაფად და მარტივად აიღოს მცირე ოდენობით სესხი. მაშასადამე, კომპანიების საქმიანობა განსხვავებულია და მიმართულია სხვადასხვა მომხმარებლისაკენ, შესაბამისად დაპირისპირებული ნიშნების თანაარსებობა არ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

აღნიშნულის დასტურად, დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა „Google“-ის საძიებო სისტემის შედეგები. სიტყვასთან „მოზო“ და „mozo“ დაკავშირებული ძიების შედეგები მოიცავს ისეთ საძიებო სიტყვებს, როგორცაა: „ონლაინ სესხები“, „უპროცენტო სესხები“, „masesxe.ge“ და ა.შ. რაც შეეხება სიტყვებს „mogi“ და „mogო“, ძიების შედეგები მოიცავს: „ავტოლოზინგი“, „ავტო სესხი“, „მოგო ლომბარდი“, „ავტო ლომბარდი“, „ავტოლიზინგი“, „მოგოს გასაყიდი მანქანები“ და ა.შ.

ზემოაღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ მომხმარებელი თავისუფლად გაარჩევს ერთი კომპანიის მიერ შეთავაზებულ მომსახურებას მეორე კომპანიის მიერ შეთავაზებული მომსახურებისაგან, რაც გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანისა და ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობას.

დაინტერესებული მხარე სააპელაციო შესაგებელში მიუთითებს გასწორებულ იქნას სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში სადავო სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ნაწილი.


სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ


სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის არგუმენტაციას ნიშნების მსგავსებასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშნები „Mozo.ge“ (საიდ. N86217/03) და „mogo“ (საიდ. N77420/03), როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.



სადავო სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N86217/03) წარმოადგენს ზურმუხტისფერ და ნარინჯისფერ ფერებში ლათინური სტილიზებული ასოებით შესრულებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს, სადაც პირველი ასო „M“ შესრულებულია ასომთავრულად, ხოლო „z“ ნარინჯისფერ და ზურმუხტისფერ ფერებში წყვეტილი ფორმით.




დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N77420/03) წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს. ნიშნის სიტყვიერი ნაწილი შედგება მწვანე ფონზე თეთრ ფერში ლათინური სტილიზებული ანბანით შესრულებული სიტყვისაგან „mogo“, რომლის თავზეც დატანილია მანქანის გამოსახულება იმგვარად, რომ გამოსახულება დაკავშირებულია სიტყვიერ ნაწილში არსებულ ასოებთან „o“ და „o“.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ვიზუალური თვალსაზრისით, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი შედგება ექვსი ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება ოთხი ასოსაგან. დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია სხვადასხვა ფონტით და სხვადასხვა ფერებში, რაც განაპირობებს ნიშნების განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. ამასთან, სადავო სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და შიცავს გამოსახულებით ნაწილსაც, რაც კიდევ უფრო მეტად სძენს ნიშნებს ვიზუალურ განსხვავებას.

დაპირისპირებული ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან სადავო სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „მოზოჯი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „მოგო“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანში არსებული განსხვავებული თანხმოვანი და სიტყვიერი ნაწილის ელემენტი „გე“ სადავო ნიშანს ანიჭებს ფონეტიკურ განსხვავებას და ამცირებს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებს არ გააჩნიათ სემანტიკური მნიშვნელობა და ორივე მათგანი ფანტაზიურია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის  (საიდ. N86217/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „მოგო“-ს N45-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 2 მარტის N426/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

თ. ჯაფარიძე

უ. ომხნელი